პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 სამშაბათი 16 მარტი № 62 (16492) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

„...დასახული მიჯნების მისაღწევად ყველამ ბევრი და დაძაბულად უნდა ვიშრომოთ. თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა პარტიულმა კომიტეტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ცხოვრების [illegible] წყვეტილებათა შესრულებაში. მათ ხორცი უნდა შევასხათ კონკრეტულ დავალებებსა და გეგმებში. უნდა შევინარჩუნოთ ის სულიერი განწყობილება, ის შრომითი რიტმი, რომლებიც წარმოშვა საყრილობო შეჯიბრებამ“.

ლ. ი. ბრეჟნევი.

პარტიამ რაც დაგვისახა, შევასრულებთ!

14, 15 მარტი

ასეთია საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება სკკპ XXV ყრილობის პასუხად

დელეგატი ანგარიშს აბარებს

ქეთევან გოგიბერიძე დაძაბული ყურადღებით უსმენდა პარტიის XXV ყრილობაზე ისტორიული მნიშვნელობის მოხსენებებს, დელეგატთა და სტუმართა სიტყვებს, ყოველდღიურად რაღაც ახალს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ციფრებსაც ინიშნავდა ბლოკნოტში.

და მაშინ ახსენდებოდა მშობლიური ბობოყვათი (ქობულეთის რაიონი), ჩაის პლანტაციები, სადაც თავდადებული შრომის შედეგად მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ახსენდებოდა თავისი აღმზრდელი ვეტერანი მეჩაიეები, სოფლის აქტივი და ფიქრობდა, რომ ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებები, ერთგვარი ანგარიში ჩაებარებინა თანასოფლელებისათვის.

ეს დღეც დადგა. ყრილობის დელეგატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამ დღეებში წარხდგა ბობოყვათელთა წინაშე. მან საუბარში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ დიდი ღონისძიებებია დასახული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, კერძოდ 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება უნდა გაიზარდოს 355 ათას ტონამდე. მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. ამიტომ ჩვენი მოთავარი დევიზი უნდა იყოს: „რაოდენობაც, ხარისხიც!“.

დელეგატის საუბრის შემდეგ ბობოყვათელებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები. პლანტაციებში დამთავრებულია ბარვა, სასუქების შეტანა. მთავრდება ბუჩქების გასხვლა. წარმატებით ემზადებიან ჩაის კრეფის სეზონისათვის.

სურათზე: სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ქეთევან გოგიბერიძე (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება ბობოყვათელ კოლმეურნეებს.

ნ. ანსტასიმოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გრაფიკის დაცვით

თბილისი. წლეგანდელი წლის პირველი კვარტალის დავალება შეავსრულოთ 26 მარტისათვის, მშენებლობებს შეუფერხებლად, გრაფიკის მიხედვით მივაწოდოთ საშენი მასალები, — ამ ვალდებულებით შრომობს სკკპ XXV ყრილობის შემდეგ თბილისის № 3 სატვირთო-ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი ა. კოკლამაზაშვილი, პარტბიუროს მდივანი ო. კენჭაძე, ადგილკომის თავმჯდომარე შ. შამოევი) კოლექტივი. ავტოტრანსპორტელებმა დამკვრელურად იშრომეს იანვარსა და თებერვალში. ორი თვის გეგმა 4 დღით ადრე შეასრულეს და დავალების გადამეტებით დიდაქალაქის საბინაო მშენებლობებს დიდძალი საშენებლო მასალები მიაწოდეს.

№ 3 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულია, მის კოლექტივს შარშანდელ მეოთხე კვარტალში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მიენიჭა.

(საქინფორმი).

გეგმა — ვადამდე

ბაათურის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით ასრულებენ პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას. ჭიათურელებმა 10 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 161 ტონა ხორცი ნაცვლად 160 ტონისა. გეგმის გადამეტებით ხორცის დაშზადება გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. გოგატიშვილმა.

ინიციატივა, თაოსნობა

ცემენტი — ხუთწლედის ხარაჩოებს

● წლიური გეგმა — 27 დეკემბერს ● ნაცვლად 40 ათასი ტონისა გამოშვებული იქნება 130 ათასი ტონა ზეგეგმითი პროდუქცია ● მშენებლები მიიღებენ 8.500 ტონით მეტ ცემენტს, ვიდრე კირველი ვალდებულება ითვალისწინებდა ● თვითღირებულების შემცირების გზით მივიღოთ 30 ათასი მანეთის ეკონომია.

უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს სკკპ XXV ყრილობის მომდინარეობას რუსთაველი მეცემენტეები. როცა ყრილობა დამთავრდა და საბოლოოდ განისაზღვრა მეათე ხუთწლედის ამოცანები, ცემენტის ქარხნის სპეციალისტებმა ერთხელ კიდევ გადაეხედეს თავიანთ შესაძლებლობებს, რეზერვებს და ახალი დამატებითი ვალდებულებები იკისრეს. შემდეგ ეს ვალდებულებანი სიერთო კრებაზე ქარხნის კოლექტივს გააცნეს და სამომავლო პროგრამად აქციეს.

აი რას წერენ რუსთაველი მეცემენტეები თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებში:

რესპუბლიკის მშენებლობებს სჭირდება სულ მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი ცემენტი! ამის ღრმად შეგნებით ახალ ვალდებულებებში ვითვალისწინებთ: **1976 წლის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა შევასრულოთ არა წინათ ნაკისრი 30 დეკემბერს, არამედ 27 დეკემბერს, გამოვუშვათ 130 ათასი ტონა ცემენტი, ანუ 90 ათასი ტონით მეტი, ვიდრე წინათ ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებდა, გეგმის გადამეტებით სამშენებლო ხარაჩოებს მივცეთ თერთმეტი ათასი ტონა ცემენტი ნაცვლად ადრე ნაკისრი 2.500 ტონისა. გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 0,7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მივიღოთ 30 ათასი მანეთის ეკონომია.**

—ცხადია, ესოდენ დიდი ცვლილება პირველ ვალდებულებასთან შედარებით, — გვითხრეს ქარხნის დირექტორმა გ. ცხაკაიამ და პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯ. ღუდუშაურმა, — კოლექტივის მეტ შემოქმედებითს შრომას მოითხოვს. და ყოველივე ეს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ტექნიკურ სიახლეთა გამოდაული დანერგვის ხარჯზე უნდა შესრულდეს.

მეცემენტეებმა ახალი ვალდებულება რომ იკისრეს, იქვე შეადგინეს მისი განხორციელების ოპერატიული გეგმა: ნედლეულის საამქროში ახლით შეცვლილია № 1 და № 3 წისქვილების კომპრესორებს, რასაც შედეგად მოჰყვება წარმოების 30 პროცენტით გაზრდა, ამავე საამქროში ამოქმედდება ორი ახალი კომპრესორი, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, კაპიტალურად შეკეთებენ მბრუნავ ღუმელს, რისთვისაც განკუთვნილ დროს ხუთი დღით შეამცირებენ, გააძლიერებენ ცემენტის წისქვილების საამპერაციო სისტემას, გაუმჯობესებენ ენერგურჯესისათვის გამაგზავნი ცემენტის ხარისხს.

...ერთი წამითაც არ ცხრება შემოქმედებითი ფიქრი ცემენტის მბრუნავ წისქვილებთან. თუმცა იანვარ-თებერვალში არახელსაყრელი სამუშაო პირობები იყო, მეცემენტეებმა მაინც შეძლეს ამ თვეების სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით განაღდება.

ქარხნის მეშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელიც სკკპ XXV ყრილობის დამთავრებას მიეძღვნა, რუსთაველმა მეცემენტეებმა ერთსულოვნად გამაცხადეს, რომ მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ძირითადი მიმართულებების იმ ნაწილში, სადაც ადინიშნულია: **„1980 წლისათვის ცემენტის წარმოება გავადიდოთ 143-146 მილიონ ტონამდე“..**

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„პრავდის“ ფურცლებზე

კვირის, 14 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია ქალაქ მოსკოვის 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებები — „ეფექტურობისა და ხარისხისათვის!“ (დღეს „კომუნისტის“ ფურცლებზე წაიკითხავთ), ხოლო ორშაბათის, 15 მარტის ნომერში — ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებები — „პარტიის მიზნები ჩვენი მიზნებია“.

„საბჭოთა აზერბაიჯანი, — ნაოქვამია კვირის ნომრის მეთაური წერილში („საბჭოთა აზერბაიჯანი“), — თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონია. იგი მხურვალე პატრიოტია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეების მუდამამას ერთგული, თავდადებული მშრომელია, როველიც ფართო საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრობს, კოლექტივისტისა, მტკიცე ზნეობრივი ჯანმრთელობის ადამიანია, უფერიგებელია ყველაფრის მიმართ, რაც ჩვენს წინსვლას ხელს შეშლის და სოციალისტურ ზნეობას ეწინააღმდეგება. ერთი სიტყვით, იგი ყოველთვის და ყველაფერში მტკიცე და ქაქიური მებრძოლია პარტიის დიადი საქმისათვის, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის“.

გუშინდელი ნომრის მოწინავე („ურწყვეი ძმური კავშირი“) სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობას ეხება. როგორც წერილშია აღნიშნული, თანამედროვე კაცობრობის პროგრესის მთავარი მიმართულება სოციალიზმის ქვეყნების განვითარება, მათი ძლიერების ზრდა, მათი საერთაშორისო პოლიტიკის კეთილნაყოფიერი გავლენა, ამ ფაქტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ღრმად არის ნაჩვენები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც პარტიის XXV ყრილობას ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარუდგინა.

ორივე ნომერში გამოქვეყნებულია მასალები რუბრიკით — „დელეგატი ყრილობიდან დაბრუნდა“.

გაზეთის ცნობით, ამ დღეებში გამოვიდა ატლასი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოდეზიისა და კართოგრაფიის მთავარმა სამმართველომ.

ატლასის რუკები და დიაგრამები ნათელ, თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი პარტიის განვლილ ეტაპებზე, მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე. ეს ძვირფასი დამხმარე სახელმძღვანელოა, რომელიც დიდად დაეხმარება მკითხველს სკკპ ისტორიის ღრმად შესწავლაში. ასეთი ატლასი პირველად გამოიცა.

მკითხველი ორივე ნომერში ბევრ ნაცნობ რუბრიკას შეხვდება, მის განსაკუთრებულ ყურადღებას კი ალბათ რუბრიკა „ეფექტიანობისა და ხარისხისათვის“ მიიქცევს. კვირის ნომერში „პრავდის“ კორესპონდენტი ისლამბადიდან (პაკისტანი) ეტყობინება, რომ ლახორელმა არქეოლოგებმა ორასამდე ახალ დასახლებას მიაგნეს, ნაპოვნია აგრეთვე მიწის ქვეშ დამარხული მთელი ქალაქი, რომლის ისტორიაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის პირველ ნახევარს ეკუთვნის. გუშინდელი ნომრის ფურცლებზე დაბეჭდილი ცნობით კი, ინდოელმა მეცნიერმა-სელექციონერებმა გამოიყვანეს მუხის აბრეშუმის ჭიის ახალი ჰიბრიდი.

გაზეთი უხვად ბეჭდავს საერთაშორისო და ადგილობრივი ცხოვრების ინფორმაციულ მასალებს.

PRAVDA

კომუნისტური შრომის დღესასწაული

17 აპრილი ლენინური შაბათობის დღეა

მოსკოვის მთელმა რიგმა მოწინავე საწარმოებმა გამოიჩინეს ახალი პატრიოტული ინიციატივა — მოაწყონ 17 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 106 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. 15 მარტს გამართულ მიტინგებზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ამ საწარმოთა კოლექტივებმა მოუწოდეს დედაქალაქის შრომელებს ამ დღეს გამოუშვან მეტი ჩინებული ხარისხის პროდუქცია.

მიტინგზე გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წითელი შაბათობა გამოავლენს წარმოების გამოუყენებელ რეზერვებს, დარაზმავს მშრომელებს მეათე ხუთწლედის წარმატებული სტარტის ასაღებად. მათ აღუთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ კომუნისტური შაბათობის დღესასწაული დღეს საბჭოთა ადამიანები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას — შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. (საკ.ინ.).

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქსოფლმშენინდუსტრიის“ № 2 ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მეარმატურეთა ბრიგადირ ამხ. ფ. გ. თურქიშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებისა და მუშაობაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საქსოფლმშენინდუსტრიის“ № 2 ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მეარმატურეთა ბრიგადირს ფარნაოზ გაბრიელის-ძე **თურქიშვილს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს medaლი **„ნამგალი და ურო“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1976 წლის 5 მარტი.**

გამოსცა პოლიტგამომცემლობამ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“. მასში შეტანილია ავრეთვე დადგენილება, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ გამო.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოიცა. (საკ.ინ.).

ეფექტურობისა და ხარისხისათვის!



ქალაქ მოსკოვის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1976 წლისათვის

მოსკოველებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მხურვალედ მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. სკკპ ყრილობაზე დასახულმა კომუნისტური მშენებლობის მორიგი ეტაპის დიდებულმა პერსპექტივებმა მოსკოველ მშრომელთა ახალი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოწვიეს. ისინი შთაგონებენ მათ შემდგომ ბრძოლას ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განუხრელი ზრდისათვის.

„მოსკოველი მშრომელები, — მოქალაქეებო ხელმძღვანელობენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის -გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „წარმოების ეფექტიანობისა და შუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს აბმარენ დედაქალაქის სახალხო მეურნეობის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საუფლებზე მისი ეფექტიანობის ამაღლებას.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა. 25 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ბაზრის საგეგმო დავალება. გაუმჯობესონ ჩარხების და მანქანების გამოყენება, შარშანდელთან შედარებით 5 პროცენტით გაზარდონ მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი, მიაღწიონ ფონდუკუგების ამაღლებას. მიიღონ 100 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება. განაახლოონ 120 საამქროსა და უბნის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ამოქმედონ 100 ავტომატური და 200 ნაკადურ-მექანიზებული ხაზი, დადგან 6 ათასი ერთეული მაღალმწარმოებლური მოწყობილობა.

დაზოგონ 90 ათასი ტონა შაე და 4,5 ათასი ტონა ფერადი ლითონები, მათ შორის დაწესებული დავალებების გადამეტებით — შესაბამისად 18 და 1,6 ათასი ტონა, 500 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი, 150 ტონა ნართი, 10 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავის მასალები, 225 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

აამაღლონ პროდუქციის ტექნიკური დონე, ხარისხი, საიმედოობა და ხანგძლივობა. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 15-დან 18 პროცენტამდე გაადიდონ უმაღლესი კატეგორიის ხარისხის ნაკეთობათა გამოშვება. მოამზადონ და ხარისხის სახელმწიფო ნიშნის „ტესტაციისათვის წარადგინონ 600 სახეობის ნაწარმი. სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან და საკონსტრუქტორო ბიუროებთან თანამგეობრობით ვადამდე შეიმუშაონ და აითვისონ 500 ახალი ნიმუშის მოწყობილობისა და ხელსაწყოს, 2.700 მოდელის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქსოვილების, სურსათ-სანოვაგის, „კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოება.

განაგრძონ მუშაობა წარმოების შემდგომი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციისათვის, გაერთიანებათა შექმნისათვის, მართვის კომპლექსური ავტომატიზებული სისტემების ფართოდ დანერგვისათვის. ამ გზით მიიღონ სულ ცოტა 30 მილიონი მანეთი ეკონომიური ეფექტი.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის ნაწარმის გამოშვების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა დაამთავრონ 27 დეკემბერს. შემხვედრი გეგმის შესაბამისად დაწესებული დავალებების გადამეტებით გამოუშვან 2.100 სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი, 50 ლითონდასამუშავებელი ჩარხი, 8.000 ტონა ფოლადი, 100 სამაცივრო დანადგარი, 12 მილიონი მანეთის ღირებულების ტექნიკა, 2,5 მილიონი კვადრატული მეტრი მზა ქსოვილი, 120 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 140 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი. მანქანათმშენებლობისა და მძიმე მრეწველობის საწარმოებში დაამზადონ 642 მილიონი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სათადარიგო საქონელი.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების, სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის საწარმოების კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავიანთი მეცადინეობა მოახმარონ სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ობიექტების საექსპლოატაციოდ რიტმული გადაცემის უზრუნველყოფას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. აამენონ და საექსპლოატაციოდ გადასცეს 1,0 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი სამრეწველო-საწარმოო ფართობები, 4,7 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და „კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ყველა ობიექტი.

გაუმჯობესონ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ხარისხი, უფრო ფართოდ დანერგონ მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა საგარანტიო პასპორტებით. უზრუნველყონ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით სულ ცოტა 80 პროცენტი სამშენებლო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

1976 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა დაამთავრონ ვადაზე სამი დღით ადრე და დაწესებული დავალების გადამეტებით შეასრულონ 22,6 მილიონი მანეთის სამუშაოები, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საშენი მასალების დაზოგვისა და აკონომიურობისათვის, ნაკეთობათა მასალატევადობის შემცირებისათვის, დაზოგონ 59 ათასი ტონა ცემენტი, 10 ათასი ტონა ლითონი, 16 ათასი კვადრატული მეტრი ძინძ, 19 ათასი ტონა პირობითი საბობი, 26 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ვადამდე, 1 აგვისტოსათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ 21 სასკოლო შენობა. 25 დეკემბრისათვის შეასრულონ იმ საწარმოთა აგების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს.

სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს უფრო სრულად დაკმაყოფილონ ქალაქის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი გადაზიდვა-გადაყვანაზე, დაჩქარონ ტვირთის მიტანა მოხმარებლებისათვის, შეამცირონ არარაციონალური ტვირთზიდვა, ტრანსპორტის ცარიელი გაშვება და მოცდენა, ვადამდე შეასრულონ საგეგმო დავალებანი.

მოსკოველი რკინიგზელები 1 მილიარდი ტონა-კილომეტრის გადაჭარბებით შეასრულებენ ტვირთბრუნვას, დამატებითი დაკვირთვისათვის გაათავისუფლებენ 200 ათას ვაგონს. შემხვედრი გეგმის გათვალისწინებით დავალებათა გადამეტებით გადაზიდავენ სულ ცოტა 1 მილიონ ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკები გეგმის გადამეტებით ადგილზე მიიტანენ 1,5 მილიონ ტონა ტვირთს, სამდინარო ტრანსპორტის მუშაკები — 200 ათას ტონას. სამოქალაქო აviაციის, მეტროპოლიტენის, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გაუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებების კოლექტივები თავიანთ მეცადინეობას მოახმარენ მეცნიერული კვლევა ეფექტიანობის ამაღლებას, სახალხო მეურნეობაში მისი შედეგების გამოყენების დაჩქარებას, პრინციპულად ახალი მანქანების, აგრეგატებისა და დამუშავების მეთოდების შექმნას. გაუძლიერებენ დახმარებას ქარხნებსა და ფაბრიკებს, რათა რაც შეიძლება სწრაფად დანერგონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

ქალაქ მოსკოვის მშრომელები უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობისათვის მანქანების, სათადარიგო ნაწილების, მასალების ვადამდე მიწოდებას. მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის დამზადებენ „მაიაკის“ ტრაქტორს 50 საწყელ დანადგარს, 200 ფეხლასსხურებელს, 40 სტაფილოს ასაღებ კომბაინს, 50 ძირხვენების ასაღებ მანქანას, 1 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებსა და დეტალებს. გათვალისწინებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეასრულონ დიდი მოცულობის სამშენებლო-სამუშაოები.

საქალაქო მეურნეობის საწარმოებისა და სამსახურების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი, აამაღლონ მუშაობის ეფექტიანობა. 1975 წელთან შედარებით 9 პროცენტით გაზარდონ ხალხების საგეგმო-პროფილაქტიკური რემონტის მოცულობა, უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა ამისათვის, რათა წესრიგში მოიყვანონ სახლები და მის გარშემო ტერიტორიები ქალაქის ჩამოყალიბებულ ნაწილში. შექმნან საცხრეგზელი ფონდის მომსახურების 95 სადისპეტჩერო სისტემა. საგზაო მეურნეობისა და კეთილმოწყობის სამსახურები შეაკეთებენ დაახლოებით 6 მილიონ კვადრატულ მეტრ გზის საფარს, 600 ათასი კვადრატული მეტრით გაზრდიან ქალაქის ტერიტორიების მექანიზებულ დალაგებას.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები გაფართოებენ მომსახურების მოცულობებსა და სახეობებს, მუშაობის პროგრესულ მეთოდებს, აამაღლებენ მომსახურების კულტურას, გააუმჯობესებენ შეკვეთების შესრულების ხარისხს. გაზრდიან საკონლის გაყიდვას თვითმომსახურების მეთოდით საკონლებრეულის საერთო მოცულობის 56 პროცენტამდე. საექსპლოატაციოდ გადასცემენ 160 ახალ მაღაზიას, საზოგადოებრივი კვების 145 საწარმოსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების 170 ახალ საწარმოს.

კულტურულ დაწესებულებათა მუშაკები უზრუნველყოფენ საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში სოციალისტური კულტურის როლის შემდგომ ამაღლებას. შექმნიან მაღალიდეური და მხატვრული დონის ახალ წიგნებს, სპექტაკლებს, კინოფილმებს, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს, რომლებიც მიეძღვნება ჩვენს სოციალისტურ საშობლოსა და საბჭოთა ხალხს.

მოსკოველები კვლავაც განაგრძობენ შეჯიბრებას ლენინგრადელებთან, ბაკადაკიცებენ კავშირს ქარხნების, ფაბრიკების, სამეცნიერო დაწესებულებების კოლექტივებთან, გააფართოებენ მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

ქალაქ მოსკოვის მშრომელები აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა შეასრულონ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საქმეში, გულმოდგინედ იბრძოლებენ იმისათვის, რომ დედაქალაქი გადაქცეონ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

სოციალისტური ვალდებულებანი მიიღეს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა და ქალაქ მოსკოვის აქტივის კრებაზე.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲡ ᲜᲣ ᲛᲝᲕᲐᲪᲓᲔᲜᲗ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲝᲠ ᲓᲐᲖᲒᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

ᲥᲠᲔᲛᲚᲘ. ყრილობათა სასახლე ეს განუმეორებელი ძალა და სლამაზეა. ყველა სეკეთის სათავე აქედან იწყება. ყრილობაზე უფრო მძლავრად ვიგრძენი, თუ რაოდენ ფასდება ჩვენში ადამიანი. მთელი ქალი, ვიჯეი დიდ ადამიანთა გვერდით, გისმენდი მათს სიტყვას და, ენით გამოუთქმელი განცდა მეუფლებოდა. დიდის მოელვარებითა და აურაღდებით მოვისმინე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება. როცა ლეონიდ ილიას-ძემ თქვა, რომ შეთე ხუთწლეულში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გადიდდება 16-18 პროცენტითო, დარბაზი ოვაციამ მოიცვა.

პარტიის ამ დიდ ზრუნვას ჩვენ ჯეორკეცებული ენერგიით უნდა ვუპასუხოთო, ვთქვი ჩემთვის, და თვალწინ დამიდგა ჩემი ქარხანა. ჩემი დობილი მომმინანქრებლები, მათგან გამოგზავნილი გულთბილი დეპეშა: „ჩვენი იმედი გქონდეს. ჩვენ შენს მაგივრადაც ვმუშაობთ. ორი თვის გეგმა ყრილობის გახსნის დღისთვის შევასრულეთ. ყრილობის მუშაობის დღეები დამკვრელურად გამოვაცხადეთ! ყველანი ორ დაზგაზე ვმუშაობთ“.

ჩემი ბრიგადის წევრთა ამ სიტყვებმა ძალიან აღმფოთოვანა. — აი როგორი ვართ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, როგორ ვზრუნავთ ერთმანეთზე, — ვფიქრობდი, და სიამაყის გრძნობით ალვასილი ვიჯეკი დარბაზში.

მეათე ხუთწლეული ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლეულია. ეს ბევრს გვავალებს მომმინანქრებლებს. შარშან ჩვენ დიდი შრომით შევძელით, რომ ჩვენი პროდუქციის ოთხ სახეობას მინიჭებოდა საბელმწიფო ხარისხის ნიშანი. ეს ოქვის სამრეწველო საწარმოთა ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო. ამან ბრიგადის წევრები დიდად აღფოთოვანა, გადაწყვეტილებას, რომ გამოგვეშვა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია, ფერთები ესმენა. ახლა ჩვენს ნახელავს აღარ სჭირდება ტექნიკური კონტროლი. ქარხნის ყველა ბრიგადას მოკუწოდეთ გამოუშვან პროდუქცია მხოლოდ ხარისხის ნიშნით. ჩვენ გვაძვს ამის შესაძლებლობა და კიდეც უნდა. განხორციელდეს.

როცა ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას ვისმენდი, ძალიან ჩამეიჭრა ამან, რომ საწარმოო სიმძლავრეთა არასრული გამოყენების გამო ჩვენ წლითიწლობით გვაკლდება მრავალი მილიარდი ანეთის პროდუქცია. ეს პირდაპირ ეხება ჩვენს საწარმოს. ჩემი სამუშაო დაზგის გვერდით, ცდება ათობით ძვირფასი დანადგარი. ისინიც რომ მუშაობდნენ და ტყუილად არ ცდებოდნენ, მაშინ ხომ ბევრად გაიზრდებოდა ქარხნის სიმძლავრე. პირობები კი კარგი გვაქვს, შრომა ფასდება, რატომ არ უნდა მოდიოდნენ ახალგაზრდები ჩვენთან სამუშაოდ? მე რომ შრომა დავიწყე, ვიხვეწებოდი მიმიღეთ-მეთქი, ახლა კი... ვფიქრობ, საჭიროა ქალაქისა და ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ინუშაონ ახალი ადამიანების აღზრდის, მათი სულიერი სიმწიფისათვის. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ჩვენც ვეძებთ. მე შარშან გადავწყვიტე ორ დაზგაზე მემუშავა. პირველად გამიძნელდა, მაგრამ შემდეგ მიზანს მივაღწიე. ასეა, თუ საქმეს გულით მოეკიდები, შეუძლებელს შეძლებ. ახლა ჩემს მაგალითს სხვა ახალგაზრდებიც ბაძავენ. ვალია კაბისოვა, ზაირა კოჩიევა და იულია თედე

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკვლევი და უცხოეთის ჟრესის სააგენტოები იტყობინებიან

აირჩიეს პრეზიდენტი

ჟენევა, (საკვლევი). აქ ერთა სასახლეში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციის მსოფლიო ფედერაციის ჯვრასკოლის მორიგი, 115-ე სესია. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ფედერაციის საქმიანობის მდგომარეობა და პერსპექტივები, მიიღეს გადაწყვეტილებანი ორგანიზაციულ საკითხებზე.

დისკუსიაზე გამოსულმა საბჭოთა წარმომადგენელმა ნაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური სსამბლეის ანტიკოლონიალისტურმა რეზოლუციებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ინიციატივით მიღებულმა რეზოლუციებმა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, საერთაშორისო ურთიერთობის ძალის გამოუყენებლობისა და ატომური იარაღის გამოყენების სამუდამო აკრძალვის შესახებ, ხელი შეუწყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდას მასებში.

სესიაზე გაიმართა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტი გახდა ცნობილი ეკონომისტი მიხაი შიმონი (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა).

შრომა და კაპიტალი

მნარე სვედრი

ბონი. (საკვლესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კონსტანტინუ სტეერიგუ სამშობლოდან — საბერძნეთიდან უმუშევრობამ ჩამოიყვანა. უკვე მეოთხე წელია იგი ნიურნბერგის მახლობლად ერთ-ერთი სასტუმროს დამლაგებლად მუშაობს.

დილიდან საღამომდე ვმუშაობ, ძალიან ცოტას კი მიხდიან. ამასთან ხელფასის თითქმის ნახევარი ბინის ქირაზე მიდის, უთხრა მან საკვლესის კორესპონდენტს. დღემდე, თქვა კონსტანტინემ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თითქმის ვერაფერი ვერ ვნახე სასტუმროს დაულაგებელი ნომრების გარდა. კინოშიც კი ვერ დავდივარ — უნდა დავზოგო თვითეული აფენინგი.

ასეთსავე მდგომარეობაშია არიან კონსტანტინუს ასითასობით თანამემამულე, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მომუშავე ესპანელები, თურქები, პორტუგალიელები, იტალიელები. დღეს დასავლეთ გერმანია მასობრივი უმუშევრობის ქვეყანაა.

ასეთ პირობებში უცხოელ მუშებს სხვებზე ადრე იმსხვერპლებს ხოლმე კრიზისი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი სულ უფრო ხშირად მიმართავენ ღონისძიებებს, რომლებსაც აქ „უცხოელი მუშახელისაგან განთავისუფლებას“ უწოდებენ.

მოძმე პარტიები იწონებენ

ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა

ბუდაპეშტი. (საკვლესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოისმინა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის ინფორმაცია, დაუშტკიცა ანბარიში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციას, რომელიც მონაწილეობდა სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში, და მოიწონა მისი საქმიანობა. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში ნათქვამია:

უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას სკკპ XXV ყრილობა მიაჩნია ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად. ყრილობამ, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, მარქსისტულ-ლენინურად გააანალიზა საბჭოთა კავშირის განვითარება, განსაზღვრა საბჭოთა კომუნისტების, — მთელი საბჭოთა ხალხის გრანდიოზული ამოცანები კომუნიზმის მშენებლობაში, მეცნიერული ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო ვითარებას და შეიმუშავა მომავლის პროგრამა. განაზოგადა რა კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილება, სკკპ XXV ყრილობამ შემოქმედებითად განვითარა ჩვენი ეპოქის მოწინავე თეორია — მარქსიზმ-ლენინიზმი და ამით საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა აღჭურვა ახალი იდეური იარაღით.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია მაღალ შეფასებას აძლევს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ნაცად მებრძოლის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ცხოვრების ყველა დარგში განაახორციელა XXIV ყრილობის მიერ გამოცხადებული კურსი. XXV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამა კომუნისტური მშენებლობის განგრძობის რეალური, დასაბუთებული, მთამაგონებელი პროგრამაა.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხი მხურვალედ მივესალმებიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას და უსურვებენ საბჭოთა ხალხს მშვიდობას, კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობას.

ლენინური გზით

სოფია. (საკვლესი). გამოვიდა რა პლოვდივის საოლქო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა, კერძოდ, თქვა: სკკპ XXV ყრილობამ მთელი მსოფლიოს უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს იყო ყრილობა ლენინის დიადი პარტიისა, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, ჩვენი ეპოქის გონება, პაგიონსება და სინდისია, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ნაცადი ავანგარდია.

მთელი მსოფლიოს წინაშე სკკპ XXV ყრილობამ უდავოდ ცსადყო საბჭოთა ქვეყნის მიღწევები უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. იგი არა მარტო იყო ახალი ნიშანსვეტი დიდი ოქტომბრის რევოლუციის დიად ისტორიულ გზაზე, არამედ გვიჩვენა ახალი მასშტაბი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანების განხორციელების ახალი, არნახული გაქანება.

XXV ყრილობის მიერ გამოცხადებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კეთილშობილური მიზნები და პრინციპები შთაგონებენ მსოფლიოს მთელ რევოლუციურ, დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს, მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას. საბჭოთა კომუნისტების რეალისტური და ღრმა ჰუმანური პროგრამა ჩვენი პროგრამაც არის, იგი ძალას მატებს ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს მეცადინეობას.

სკკპ ყრილობაზე, თქვა შემდეგ ტ. ჟივკოვმა, ახალი ძალით გამოვლინდა მაოისტური ხელმძღვანელობის სრული იდეური და პოლიტიკური დეგრადაცია, მისი ალიანსი მთელი მსოფლიოს უკიდურეს რეაქციასთან. ჩვენი პარტია ყველა მომზე პარტიასთან ერთად კვლავაც პრინციპულად და შეურიგებლად იბრძოლებს მაოიზმის წინააღმდეგ, მისი იდეოლოგიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც შეურიგებლად ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ულ-ლენინურ მოძღვრებას, სოციალიზმსა და მშვიდობას.

ტ. ჟივკოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოისმინა ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობის შედეგების შესახებ, მოუწონა ამ ინფორმაციის ხელმძღვანელობა და მოიწონა ყრილობის მუშაობაში მონაწილე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა.

შთაგონების დიდი წყარო

პრაღა, (საკვლესი). პრაღის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატთა წინაშე თავის გამოსვლაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი დაწვრილებით შეეხო იმ ფართო რეზონანსს, რომელიც მსოფლიოში გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ. ამ ყრილობის დამახასიათებელი ნიშანი, თქვა მან, იყო საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კომუნისტების სიამაყე თავისი პარტიისათვის, თავისი ხალხისა და თავისი სახელმწიფოსათვის.

ყრილობაზე მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ის უდიდესი ძალა და გამოცდილება, ერთიანობა და სიმწიფე, უერთევი კავშირი, რომლითაც იგი დაკავშირებულია მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთან. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ყოველთვის იხელმძღვანელებს გამოცდილებისა და შთაგონების ამ მდიდარი წყაროთი.

ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს მშვიდობის პოლიტიკას, რომელიც კიდევ უფრო დამუშავდა სკკპ XXV ყრილობაზე, აღნიშნა შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩვენ ვიღლიან საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობს შემდგომი გაღრმავების ნაცადი გზით. ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველი, რომელიც ემსახურება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეს.

კვლავ დაძაბულობაა

ტუნისი. (საკვლესი). საფრანგეთი თანახმაა დამოუკიდებლობა მიანიჭოს „აფართა და ისის“ ტერიტორიას მას შემდეგ, რაც იქ მოეწყობა ფართო კონსულტაციები პოლიტიკურ მოღვაწეებთან, შემდეგ კი რეფერენდუმი საერთაშორისო მეთვალყურეების თანდასწრებით, განაცხადა ტუნისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეან სოვანიარგმა.

„აფართა და ისის“ ტერიტორია საფრანგეთის სამფლობელოა წითელი ზღვისა და ადენის ყურის სამხრეთ სანაპიროზე. რომელსაც წინათ ეწოდებოდა საფრანგეთის სომალი. უკანასკნელი წლების მანძილზე აფრიკის ამ რაიონში, რომლის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლიერებს ტერიტორიის ადმინისტრაციულ ცენტრში — ჯიბუტში დიდი სამხედრო-საზღვაო ბაზის განლაგება, არაერთხელ შექმნილა დაძაბული სიტუაცია. ჯიბუტიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის ადმინისტრაციას სხვადასხვა სამუალებით ცდილობს ხელი შეუშალოს დამოუკიდებლობის მომხრეთა საქმიანობას.

მოგადიშო, (საკვლესი). ეგრეთწოდებული საფრანგეთის სომალის ტერიტორიაზე ამჟამად თავს უყრიან საფრანგეთის სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალებს. ამას იუწყება სომალის საინფორმაციო სააგენტო სონა. სომალი მოითხოვს უთუოდ გაიყვანონ საფრანგეთის ჯარები და მოსპონ საფრანგეთის სამხედრო ბაზები აფრიკის ამ ნაწილში.

მშვიდობისათვის ბრძოლა — მთავარი მიმართულება

ნიუ-იორკი, (საკვლესი). აქ დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის საზოგადოებრივი ინფორმაციის საკითხთა საკონსულტაციო ჯგუფის სხდომა.

დისკუსიის დროს გამოსვლისას საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების იდეების პროპაგანდა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში.

ერების გაერთიანებამ, თქვა მან, ამ ბოლო წლებში სსრ კავშირის ინიციატივით მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი რეზოლუციები მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საკითხებზე. ამაზე ილაპარაკა, კერძოდ, სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც ჩამოაყალიბა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სსრ კავშირის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

განიარაღების, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის, დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისა და გაფართოების, მწვავე კონფლიქტების მოწესრიგებისა და პლანეტის ბევრ „ცხელ“ რაიონში დაძაბულობის ლიკვიდაციის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანმა პრობლემებმა დიდი ადგილი უნდა დაიკავონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციის დარგის ღონისძიებებში, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა. მან გამოთქვა იმედი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო ცენტრები სულ უფრო მზარდ და აქტიურ როლს შეასრულებენ მშვიდობის იდეების გავრცელების, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, თანასწორუფლებიანი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების, ხალხთა დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და კოლონიალიზმის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში.

მოკლედ

საფრანგეთი

● **პარიზი.** მახობრივი მიტინგი გაიმართა სტრასბურგში იმის წინააღმდეგ, პროტესტის ნიშნად, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეწყობა პოლიტიკური მოტივებით ზოგიერთი თანამდებობის დაკავებაზე მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის კამპანია.

ნაცისტური ბანაკების ყოფილი ტუსაღებისა და სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა დელეგაცია სტრასბურგში ეწვია ევროპის პარლამენტს („საერთო ბაზრის“ ერთ-ერთი ორგანო) და გადასცა რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური მოტივებით მოქალაქეთა დევნის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

ლიბანი

● **ბეირუთი.** ლიბანის პარლამენტის საგანგებო სხდომაზე მოწონეს პეტიცია, რომელიც ს. ფრანჯიეს წინადადებას აძლევს გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან. პეტიციას ხელი მოაწერა 99 დეპუტატიდან 68 დეპუტატმა. პარლამენტის დელეგაცია მისი თავმჯდომარის კ. ალ-ასადის მეთაურობით კვირას დილით ეწვია პრეზიდენტს და გადასცა ეს პეტიცია. მაგრამ ს. ფრანჯიემ კვლავ უარი თქვა გადადგომაზე.

ამასობაში ლიბანის დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობს შეიარაღებული შეტაკებანი. ქალაქის ქუჩებში ბარიკადებს აგებენ. თითქმის ყველა დაწესებულება და საწარმო დაკეტილია.

ესპანეთი

● **მადრიდი.** ქალაქ მანრეოში (ესპანეთი) დაიწყო ხელმოწერათა შეგროვება ყველა პოლიტიკური პატიმრისათვის ამნისტიის გამოცხადების შესახებ მიმართვაზე. ეს კამპანია ეწყობა მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეების ინიციატივით. მიმართვაზე ხელმოწერათა შეგროვების დამთავრების შემდეგ იგი გადაეცემა პროვინციის ხელისუფლებს იუსტიციის სამინისტროში წარსადგენად.

ეს საინტერესოა

ხმაურის ჩამხშობი

ჩვენს დროში თვითმფრინავების გუგუნი პირდაპირ უბედურებად იქცა აეროდრომებთან ალოს მცხოვრები ადამიანებისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამუშავეს თეორიული გაანგარიშებები, რომლითაც შეიძლება ტურბინებიდან გამოსავალი გაზის ტალღების ხეიტრალიზება... წყლით. ამისათვის საჭიროა რეაქტიული გაზების ზონაში წვრილ ხაკად მიუშვან წყალი. ბეგრითი ტალღების საზღვარზე მოხვედრილი წყალი გარდაიქმნება ორთქლად და ხელობრივ ძთანთქავს ტალღების ენერგიას.

ამ იდეის განსახორციელებლად თვითმფრინავს სპეციალურ აეზეში მომარაგებული უხდა ქონდეს დახლოებით ათასი ლიტრი წყალი.

მფრინავი ყინულმჭრელი

გაზაზეულზე მეჩხერწყლიან მდინარეებზე ნაოსნობას ამრკოლებს ყინულის ხორგები. აქამდე ამ დაბრკოლებას ძირითადად აფეთქებით სპობდნენ, მაგრამ ეს ახიფვთო ღა ნაკლებად ეფექტიანი იყო. ეკუნ ყინულის ხორგების დანგრევა ყინულმჭრელების მეთოდით სცადეთ? მაგრამ ცცირეწყლიან მდინარეში მძიმე ტემი ხომ ვერ გაივლის...

ეს პრობლემა გადაწყვეტეს კანადელმა სპეციალისტებმა. მათ წინადადება წამოაყენეს ყინულმჭრელის მაგივრად საჰაერო ბალიშებით აღჭურვილი სპეციალური ხომალდი გამოიყენონ. ოპერაცია უბრალოდ ტარდება: გემის მძღოლი მკვეთრად სპობს საჰაერო ბალიშებს და ხომალდი თავისი 45 ტონიანი სიმძიმით ეცემა ყინულზე.

დავით რონდელი



ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 72 წლისა გარდაიცვალა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ხსრ სახალხო არტისტი, 1939 წლიდან სკკპ წევრი დავით ევგენის-ძე **რონდელი-აბაშარიშვილი.**

ძნელია წარმოიდგინოს ქართული კინოხელოვნება დავით რონდელის მრავალფეროვანი შემოქმედებისა და მოღვაწეობის გაუთვალისწინებლად. იგი ხუთი ათეული წლის მანძილზე მშობლიური კინოხელოვნების განვითარების დიდ საქმეს ემსახურებოდა როგორც კინოდრამატურგი, დამდგმელი-რეჟისორი, კინოკრიტიკოსი.

დავით რონდელი კინემატოგრაფიაში მწერლობიდან მოვიდა, მისმა მგზნებარე ლექსებმა, მებრძოლი სულით გამსჭვალულმა თეორიულმა და კრიტიკულმა წერილებმა გარკვეული კვალი დატოვა 20-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. დ. რონდელი რედაქტორობდა ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობასა“, იყო ამიერკავკასიის ლიტერატურული ჟურნალის „ნა რუბეჟეს“ მხარედაქციო კოლეგიის წევრი.

1928 წლიდან დ. რონდელმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ქართულ კინემატოგრაფიას დაუკავშირა და ხიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მის მშენებლად რიგებში დარჩა.

პირველმა მხატვრულმა ხურათმა „უგზებნიარამ“, რომელიც 1930 წელს გამოვიდა, ახალგაზრდა რეჟისორს სახელი მოუპოვა. დავით რონდელი მაშინვე იმ ხელოვანთა რიგებში ჩადგა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედების მთავარ მიზნად ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების ასახვა დაიხახეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ფილმები „არშაული“, „ოლნიდის ჩირაღდნები“, „ჩრდილი გზაზე“, „ენგურის ნაპირებზე“, „პეერი მილიციის მუშაკი“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“ და სხვ.

მაყურებელს მოეწონა დ. რონდელის ფართო კინემატოგრაფიული ტილო „მამლუქი“. 40 წელია ეკრანს არ სცილდება დ. რონდელის ფილმი „დაკარგული სამოთხე“, რომელიც სამართლიანად ითვლება საბჭოთა კლასიკურ კინოკომედიად.

დ. რონდელი ერთი დამდგმელთაგანი იყო ფილმ „ჯურღის ფარის“, რომელიც საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის თემას მიეძღვნა. ამ ფილმისათვის დ. რონდელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. სამამულო ომის თემას მიუძღვნა რეჟისორმა ავრეთვე ფილმი „ზოია რუხაძე“.

დ. რონდელს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის განვითარებაშიც.

დ. რონდელი წლების მანძილზე სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა: 1953-1954 წლებში იყო საქართველოს კინემატოგრაფიის სამინისტროს კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორი, საქართველოს ხსრ კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამამულო ომის წლებში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტური ფილმების სტუდიას, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებას.

დ. რონდელი დიდ შემოქმედებითს მუშაობასთან ერთად თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, მისი გამგეობის წევრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი სექციის თავმჯდომარე, სამხატვრო საბჭოს მუდმივი წევრი, კინოსტუდიის პარტორგანიზაციის მდივანი.

დავით რონდელს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი შემოქმედი, რომლის პატიოსანი შრომა, მშობლიური კინოხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარული და უანგარო მოღვაწეობა სამაგალითოდ დარჩება ქართული კინოს ყველა მუშაკისათვის.

პ. გ. ბილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ნ. გ ჩერქეზიშვილი, გ. გ. აბაშიძე, თ. ე. აგულაძე, დ. ა. ალექსიძე, გ. ი. ასათიანი, ა. ა. დვალიშვილი, ს. გ. დოლიძე, ლ. შ. ელიავა, ო. ვ. თაქთაქიშვილი, შ. ი. მანაგაძე, ლ. ლ. ღოღობერიძე, ე. ნ. შენგელაია, რ. დ. ჩხეიძე, დ. პ. ფერაძე, თ. ი. ჭილაძე, შ. მ. ჯაფარიძე.

„სალუტ-4“ — 7000 გარშემოელა

ფრუნზის მართვის ცენტრი, 14 მარტი. (საკვლესი). გრძელდება ავტომატური რეჟიმით „სალუტ-4“ სადგურის ფრენა, რომელიც დედამიწის ორგზელ ორბიტაზე გაყვანილია 1974 წლის 26 დეკემბერს. 5 საათისათვის მოსკოვის დროით სადგურმა 7.000-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. სადგურის ფრენა ორბიტაზე მიმდინარეობს შემდეგი პარამეტრებით:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 356 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 332 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი;

— მიმოქცევის პერიოდი, 91,2 წუთი.

კვლევის პროგრამის დამთავრების შემდეგ, რომელიც სადგურში მიმდინარეობდა კოსმონავტთა ორი ექსპედიციის მუშაობის პერიოდში, ხოლო შემდეგ „სალუტ-4“ — „სოიუზ-20“ უპილოტო კომპლექსის ერთობლივი სამთვიანი ფრენის პერიოდში, გრძელდება ცალკეული საბორტო სისტემების, აგრეგატების, აპარატურის, ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის პირობებში სადგურის კონსტრუქციების ელემენტების შემდგომი გამოცდა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მოხაცემებით, „სალუტ-4“ სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. მიკროკლიმატი, პარამეტრები ნაკვეთურებში გათვალისწინებულ ფარგლებშია. საკორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამუშაო ჯგუფის სხდომა თბილისში

15 მარტს თბილისში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტული საცნობარო მონაცემების საკითხთა სამუშაო ჯგუფის მეშვიდე სხდომა, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტიზაციის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილეები განიხილავენ საკითხებს, თუ როგორ უზრუნველყონ მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნილებანი ნივთიერებათა და მასალათა თვისებების ამსახველი სარწმუნო ინფორმაციით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სხდომის მონაწილე ქვეყნების შემდგომი ეკონომიური განვითარებისათვის, საერთოდ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ი. სოლოგიანმა. — სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომლის ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახლტანდარტის დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა, ღირსშესანიშნავ დღეებში მიმდინარეობს. ეს-ეს არის მუშაობა დაამთავრა სკკპ XXV ყრილობამ, რომელზეც დიდი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო, მოხსენებამი XXV ყრილობისადმი, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამ. ლ. ი. ბრეჟნევმა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეს პოზიცია ყრილობაზე თავიანთ გამოსვლებში მოიწონა მრძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის ყველა ხელმძღვანელმა.

დარწმუნებული ვართ, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამუშაო ჯგუფის ამ გამართული მუშაობა სხდომის მონაწილეთა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ დასახული პროგრამების რეალიზაციაში.

სხდომა 21 მარტამდე გასტანს.

(საქინფორმი).

ფოტოინფორმაცია

ლაიფციგის ბაზრობაზე



ლაიფციგში (გდრ) გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა. მასში მონაწილეობს მსოფლიოს 63 ქვეყნის 9 ათასზე მეტი ექსპონენტი. ბაზრობის ერთ-ერთი უდიდესი მონაწილე, ისევ როგორც წინათ, საბჭოთა კავშირია, რომლის ექსპოზიციაში 8 ათასი ექსპონატია. აქედან 80 პროცენტი პირველად იქნება ნაჩვენები.

სურათებზე (მარცხნივ) — ბაზრობაზე ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს მომსახურებას უწევენ უცხო ენების საუკეთესო მცოდნე გიდები; (მარჯვნივ) ბაზრობის ტერიტორიის ხედი.

მავნე და საშიში დოქტრინა

ვაშინგტონი. (საკვლესი). ამერიკის საზოგადოებრიობამ მიიღო ჩილეს საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების უაღრესად უხეში ჩარევის ფაქტების კიდევ ერთი ოფიციალური დადასტურება, რასაც მოჰყვა ამ ქვეყნის კანონიერი მთავრობის დამხობა და პრეზიდენტ ს. ალიენდეს დაღუპვა.

სენატის სადაზვერვო ორგანოების საქმიანობის გამომძიებელი კომისიის შეკითხვაზე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა წარმოადგინა წერილობითი ანგარიში 1970-1973 წლების ჩილეს ამბებში ამერიკის შეერთებული შტატების როლის შესახებ. რ. ნიქსონის განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მან „ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უშუალოდ უბრძანა, რომ ეღონა, რათა 1970 წლის არჩევნებში არ გაემარჯვა და ხელისუფლების სათავეში არ ჩამდგარიყო ჩილეს დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ს. ალიენდე. ამ მიზნით, როგორც იგი წერს, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და მთავრობის სხვადასხვა სამსახურებმა „დაიწყეს ღონისძიებათა განხორციელება, რათა ჩაეშალათ ს. ალიენდეს არჩევა და წაეგებინებინათ სამხედრო პირნი მის წინააღმდეგ“. „მე ვაცნობე რ. ჰელმსს (რომელსაც მაშინ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის პოსტი ეკავა — საკვლესის შენიშვნა), რომ ამ ღონისძიებათა წარმატებისათვის საჭიროა გადმოიბირონ ჩილეს სამხედრო „ფრაქციები“, — აღნიშნავს რ. ნიქსონი.

ამავე დროს, იუწყება ყოფილი პრეზიდენტი, თეთრ სახლში „ეგბჭობდით, რომ პირდაპირი ასეთებანი გამოგვეყო ჩილეში ს. ალიენდეს მოწინააღმდეგეების დასახმარებლად და ამერიკას შეეწყვეტა ჩილესთვის ფინანსური და სხვა დახმარება, რათა ძირი გამოეთხარა მისი ეკონომიკისათვის და დაერაზმა სხვადასხვა ფრაქცია ისეთი კანდიდატის გარშემო, რომელიც შეძლებდა ს. ალიენდეს დამარცხებას“.

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ეს ცდები ჩაიშალა და სახალხო ერთიანობის ბლოკმა ს. ალიენდეს მეთაურობით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა არჩევნებში, ამერიკის მთავრობამ, როგორც არსებული დოკუმენტები მოწმობენ, კიდევ უფრო გაეღვივა საიდუმლო დახმარება ჩილეს რეაქციას.

სახალხო ერთიანობის მთავრობის წინააღმდეგ საბოტაჟისა და მისთვის სახელის გატეხის საიდუმლოებით მოცულ ოპერაციებში მონაწილეობდნენ თეთრი სახლი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონი და ამერიკის შეერთებული შტატების სახტიაგოს საელჩო. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ ჩილეს რეაქციასთან, რომელიც სამხედრო გადატრიალებას ამზადებდა. „კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ ამკარა შეტევის „პროლოგი“ ჩილეს არმიის სარდლის გენერალ რ. შნაიდერის მკვლელობა, რომელიც ს. ალიენდეს ერთგული მომხრე იყო.

რ. ნიქსონი ამტკიცებს, თითქოს „არ ახსოვდეს“, მიიღო თუ არა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ბრძანება მოეწყო სამხედრო გადატრიალება ჩილეში. მაგრამ, როგორც სენატის კომისიამ დაადგინა, სწორედ ასეთი განყარგულება მისცა თეთრმა სახლმა რ. ჰელმსს. კომისიის მოხსენებაში მოყვანილი იყო ნაწყვეტი ცენტრ

„კომუნისტის“ ინტერვიუ

დიდი მღელვარებით

მოსკოვში ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლების წინ

რამდენიმე დღეა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კომუნისტების დიდმა ფორუმმა — სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებანი რომ დასახა, მნიშვნელოვანი ამოცანები დაუკისრა კულტურის, ხელოვნების მუშაკებს. თბილისის რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრი პირველი კოლექტივია, რომელსაც გასტროლები აქვს მოსკოვში ყრილობის შემდეგ, რაც კიდევ უფრო ზრდის პასუხისმგებლობას გასტროლების მაღალ იდეურ-ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის. ქართული სცენის ოსტატთა მოსკოვში გამგზავრების წინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა თეატრის დირექტორს აპაკი ბაძარაძეს. რეჟისორ როზერტ სტურუას, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რამაზ ჩხიკვაძეს და მათ ინტერვიუ სთხოვა.

— **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვში XXV ყრილობის შემდეგ, — გვითხრა, **ა. ბაქრაძემ**, — ღირსშესანიშნავი მოვლენაა თეატრის კოლექტივის ცხოვრებაში და, ცხადია, ველოდით: როგორ შეხვდება, როგორ მიიღებს მოსკოველი მაყურებელი ჩვენს სპექტაკლებს!.. 18-დან 31 მარტამდე ვ. მაიაკოვსკის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“, შ. დადიანის „გუმინდელნი“, გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“, ბ. ბრეჰტის „კაკასიური ცარცის წრე“ და ა. გელმანის „დასაწყისი“.

თეატრის ამჟამინდელი საგასტროლო რეპერტუარი, ეფიქრობთ, რაციონალურად არის შერჩეული. სპექტაკლები პროფესიული თვალსაზრისით სათანადო შემოქმედებითს დონეზე დგას და თანამედროეობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

უკანასკნელი გასტროლები მოსკოვში 1966 წელს გვქონდა, მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში თეატრში იმედის მომცემი ახალგაზრდობა შემოგვემატა, რომლებმაც თან მოიტანეს ნათელი განწყობილება, ენერგია, სიახლე. თანამედროვე ცხოვრება ახალი ამოცანების წინაშე აყენებს თეატრალურ ხელოვნებას. თეატრი ეძიებს, თეატრი იბრძვის. ამის დადასტურებაა ჩვენი სპექტაკლების დღევანდელი დონე. მაძიებელი სული. ფიქრობთ, მოსკოველი მაყურებელი სათანადოდ შეაფასებს რეჟისორ რ. სტურუას დადგმებს „ყვარყვარეს“, „კაკასიური ცარცის წრეს“, რომლებმაც ყურადღება მიიქცია მკაფიო რეჟისორული ხელწერით, გამომგრნებლობით, არტისტიზმით. „სამანიშვილის დედინაცვალმა“ კი (რეჟისორები რ. სტურუა და თ. ჩხეიძე) უკვე ჩაბარა დიდი გამოცდა და არა მარტო მოსკოვში, არამედ პოლონეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენშიც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. რაც შეეხება „გუშინდელნის“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე), „მეშვიდე ცას“ (რეჟისორი გ. ქაჯარაძე) და „დასაწყისს“ (რეჟისორი რ. სტურუა), მათ ასევე საინტერესო პრობლემატიკა აქვს და მკაფიო თანამედროვე ყოფიერებით გამოირჩევა.

1933 წლიდან დაწყებული რუსთაველის თეატრის გასტროლები ტრადიციულად მაღალ შემოქმედებით დონეზე ტარდებოდა. ასე იყო 1936, 1947, 1958, 1960 და 1966 წლებშიც. დაე წლევანდელ გასტროლებსაც წარმატება მოეტანოს ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის.

— **მოსკოვში** ჩვენი თეატრის გასტროლების პირველ დღეს, ამბობს **რ. სტურუა**, წარმოდგენილი იქნება ბ. ბრეჰტის „კაკასიური ცარცის წრე“. როგორც ყოველთვის, გასტროლები ამოველვებელი მოვლენაა, მით უმეტეს მოსკოვში, სადაც ახსოვთ რუსთაველის თეატრის ტრიუმფალური გამოსვლა 1936 წელს, სანდრო ახმეტელის სპექტაკლები „ანზორი“, „ლამარა“, „რღვევა“ და სხვ. ასევე მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებიც ჩვენმა თეატრმა შემდგომ წლებში მოიპოვა.

დედაქალაქში რუსთაველის თეატრის წინა გასტროლებზე ბედნიერება მქონდა მონაწილეობა მეც მიმეღო. მაშინ წარმოდგენილნი ჩემი სპექტაკლებიც: „სელექციის პროცესი“ და „მზიანი ღამე“. ამჟამად კიდევ უფრო პასუხსაგები მისია მაკისრია. „კაკასიური ცარცის წრის“, „ყვარყვარეს“, „სამანიშვილის დედინაცვლის“, „დასაწყისის“ რეჟისურა მე მეკუთვნის და ამიტომაც განსაკუთრებით ვღელავ.

ქართულმა საბჭოთა თეატრმა გაიარა სახელოვანი გზა, რომლის მანძილზე იგი ცდილობდა დიდი ტრადიციების ერთგული ყოფილიყო. ჩვენ ვიცით ის ჟეშმარიტება, რომ თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების პრინციპები მის ღრმა იდეურობაში გამოიხატება. მას თანამედროვეობის სულისკვეთება ასაზრდოებს და ამავე დროს თავისი ფორმიც ღრმად ეროვნულიც არის და ქართული პლასტიკით, ტემპერამენტით აღსავსეც. ამ პრინციპებს ვემსახურებთ ჩვენც. თუ მოსკოველი მაყურებელი სწორედ ამ ნიშნითვისებებს აღმოაჩენს ჩვენს სპექტაკლებში, თავს ბედნიერად ჩავთვლით.

— **რუსთაველის** თეატრს მოსკოვში იცნობდნენ როგორც ჰეროიკულ, რომანტიკულ მიმართულების თეატრს, — ვკითხავ **რ. ჩხიკვაძეს** — რომელსაც ამშვენებდნენ დიდი მსახიობები აკაკი ხორავა, აკაკი წასაძე, თამარ ჭავჭავაძე, სერგო ზაქარაძე და სხვ.

დღეს მათ გარეშე მოგვიწევს წარმოვსახოთ მოსკოველთა წინაშე ჩვენი სათაყვანებელი თეატრის სახე. თვალსაჩინოვით ვუფრთხილდებით იმ წმიდა ტრადიციებს, რომელიც რუსთაველის თეატრის დიდმა მესვეურებმა გადმოგვიღოცეს, მაგრამ დრო თავისას მოითხოვს და ვეძიებთ ახალს.

ვღელავთ: როგორ წარმართავ გასტროლები მოსკოვში? ერთი კი ცხადია, ჩვენს თეატრში, ამჟამად ცოცხალი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს და ეს ერთგვარი იმედით გვავსებს. სცენაზე თქმული მართალი სიტყვა ის სანთელ-საკმეველია, რომელიც თავის გზას არ დაკარგავს.

მოსკოველ მაყურებელს ვერაფრით ვერ გააკვირვებ. მას ბევრი რამ უნახავს, მაგრამ ჩვენი ვალია ღირსეულად დავიცვათ ქართული თეატრალური ხელოვნების პრესტიჟი.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

**რიგბრივ „კომუნისტის“ მკითხველებმა იცით, იუგოსლავიამი მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეშვიდე ტურში ლიდერობს ვ. ივანკასა (უნგრეთი) და ტ. ლეფჩაკ (ბელგრადი) პარტია გადადგეთ ს